სახელმწიფო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 1-3283

საქართველო

ორიათას შვიდი წლის ორ აპრილს მე, ნოტარიუსს ნიკოლოზ მალაშხიას, ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, პეკინის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართა ეკატერინე შერაზადაშვილმა, რომელმაც განაცხადა რომ სურს ბელა შერაზადეშვილს (დაბ. 12. 10. 1961 წ. თბილისში, პირადი № 01025008847, პირადობის მოწმობა № ბ 0176973 გაც. თბილისის საბურთალოს რ-ნის შს სამმ. I ქვეგანყ. მიერ 17. 07. 1998 წ., მისი განცხადებით მცხ. თბილისი, დ/დიღომი, ი. პეტრიწის ქ. 5, ბ. 23) მიანიჭოს უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული უფლებამოსილება, შესაბამისი სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე ეკატერინე შერაზადაშვილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით: დაბ. 09. 01. 1940. წ. ბათუმში, პირადი № 01024053197, პირადობის მოწმობა № ბ 0680001 გაც. თბილისის საბურთალოს რ-ნის სმრ მიერ 08. 04. 2005 წ., მცხ. თბილისი, დ/დიღომი, ი. პეტრიწის ქ. 5, ბ. 23. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას შვიდი წლის ორ აპრილს, ამ მინდობილობით ეკატერინე შერაზადაშვილმა, შემდგომში წოდებული „**მინდობი**” ბელა შერაზადეშვილს, შემდგომში წოდებული „**მინდობილი მესაკუთრე**” მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. წინამდებარე მინდობილობით მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია საკუთრების მიმნდობის სახელით მართოს და განკარგოს (გაყიდოს, გააჩუქოს, გაცვალოს, მათ შორის მოახდინოს მიწის ნაკვეთების გაერთიანება) თავისი შეხედულებისამებრ ფასის და პირობების განსაზღვრით მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ შემდეგი მიწის ნაკვეთები: **ნაკვეთი № 24/112 – 572,00 კვმ,** რომლის მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდია № 01/12/12/24/112, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. № 22 და ნაკვეთი № 24/109 – 832,00 კვმ,** რომლის მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდია № 01/12/12/24/109, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. № 22.**

2. მინდობილი მესაკუთრე საკუთრების მიმნდობის სახელით უფლებამოსილია შეკრიბოს ყველა საჭირო დოკუმენტი, იყოს საკუთრების მინდობის წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში, მიიღოს საჯარო რეესტრიდან შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის ამონაწერი, საკადასტრო რუკა (გეგმა), ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, დადოს შესაბამისი ხელშეკრულება ნოტარიული წესით, მიიღოს ნასყიდობის ფასი და საკომპენსაციო თანხა, მოაწეროს ხელი საკუთრების მიმნდობის მაგიერად და შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

3. მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია იყოს საკუთრების მიმნდობის წარმომადგენელი სახელმწიფო ორგანოებში და დაწესებულებებში, საჯარო, კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სანოტარო ბიუროში, მოაწეროს ხელი საკუთრების მიმნდობის მაგივრად შესაბამის ხელშეკრულებებს, გაატაროს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში და მიიღოს შესაბამისი ამონაწერი და საკადასტრო რუკა.

4. მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია საკუთრების მიმნდობის სახელით სამშენებლო კომპანია "მოდული"-ს და სხვა სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლობასთან დადოს ხელშეკრულებები აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობებთან დაკავშირებით, მოაწეროს ხელი საკუთრების მიმნდობის მაგივრად და შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

5. მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია შეასრულოს მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებანი: გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა საველდებულო გადასახადები.

6. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებებით.

7. მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობა ეკისრება მინდობილ მესაკუთრეს.

8. უძრავი ქონება ნაკვეთი № 24/112 და ნაკვეთი № 24/109 საკუთრების მიმნდობის მიერ შეფასებულია – 80 000 (ოთხმოცი ათას) ლარად.

9. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე შვიდ თანაბარძნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

10. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

11. თანახმად სანოტარო მოქმ. შესრულებ. სახლ. შესახებ საქ. კანონისა 1998 წლის 11 ივნისს № 1417 21-ე და 22-ე მუხლების გადახდილია სახელმწიფო ასორმოცდათერთმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი.

ვასტრუქტურა

ნოტარიუსი